ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №05
2025 წლის 30 მაისი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა და ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ[1]“ და „კ[2]“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსადგურიდან რეისის გასვლა სავალდებულო არ არის შემდეგ დასახლებებში:

1. დირბის ადმინისტრაციული ერთეული;

2. აბისის ადმინისტრაციული ერთეული;

3. ავლევის ადმინისტრაციული ერთეული;

4. ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული;

5. ბრეთის ადმინისტრაციული ერთეული;

6. ბებნისის ადმინისტრაციული ერთეული;

7. დვანის ადმინისტრაციული ერთეული;

8. ბრეძის ადმინისტრაციული ერთეული;

9. ზემო ხვედურეთის ადმინისტრაციული ერთეული ;

10. ზღუდრის ადმინისტრაციული ერთეული ;

11. კეხიჯვრის ადმინისტრაციული ერთეული;

12. მოხისის ადმინისტრაციული ერთეული;

13. რუისის ადმინისტრაციული ერთეული;

14. ურბნისის ადმინისტრაციული ერთეული;

15. ფცის ადმინისტრაციული ერთეული ;

16. გიგანტის ადმინისტრაციული ერთეული.

მუხლი 2

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქარელის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში 2 (ორი) ერთეული ავტოსადგურის განთავსება შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში:

ა) ქალაქ ქარელის ადმინისტრაციული ერთეული;

ბ) დაბა აგარის ადმინისტრაციული ერთეული.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჯუმბერ შუბითიძე**